

სეკულარული მუსიკა შუა საუკუნეებში

ელა გვერდელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე შუა საუკუნეების კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

შუა საუკუნეების კვლევები(ენა, ლიტერატურა, ისტორია, ფილოსოფია, ხელოვნების ისტორია, რელიგია)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბეჟან ჯავახია, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

სარჩევი

| | |
|--|----|
| განაცხადი..... | 3 |
| აბსტრაქტი..... | 4 |
| შესავალი..... | 7 |
| თავი I შუა საუკუნეების ხმიერი მუსიკა | |
| 1.1 ქართულ ლიტერატურასა და თარგმანებში აღწერილი მუსიკა და ხმასთან დაკავშირებული ტერმინები..... | 10 |
| 1.2 მრავალხმიანობა შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში.... | 23 |
| თავი II - სხვადასხვა ჟანრის საერო მუსიკა შუა საუკუნეების ყოველდღიურობაში | |
| 2.1 ლხინთან დაკავშირებული მუსიკალური ტრადიციები..... | 25 |
| 2.2 - შრომასთან შეფარდებული მუსიკა..... | 34 |
| 2.3 - სამიჯნურო მუსიკა და მოხეტიალე მუსიკოსების ხელოვნება..... | 37 |
| 2.4 - ოქროს ხანის მუსიკალური კულტურა..... | 42 |
| 2.5 - აღორძინების მუსიკალური ხელოვნება ევროპაში..... | 46 |
| თავი III – საკრავიერი მუსიკა | |
| 3.1 - საკრავის აჟღერების ცნების გამოხატულება ქართულ მწერლობაში..... | 49 |
| 3.2 - შუა საუკუნეებში გავრცელებული საკრავები საქართველოში..... | 50 |
| 3.3 - შუა საუკუნეებში გავრცელებული საკრავები ევროპაში..... | 64 |
| დასკვნა..... | 69 |
| ბიბლიოგრაფია..... | 71 |

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელა გვერდელაშვილი. 24. 05. 2016

აბსტრაქტი

შუა საუკუნეების კვლევისას, ნებისმიერი საკითხის სრულად განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ყოველდღიურ, ყოფით ელემენტებს. ამის იდენტიფიკაციისათვის, მუსიკა ერთ-ერთ ძირითად და მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს. ნაშრომის მიზანია საქართველოს და დასავლეთ ევროპის მუსიკალური ტრადიციების ჩვენება და შედარება.

ნაშრომის კვლევა დაფუძნებულია შუა საუკუნეების მხატვრულ და წერილობით წყაროებზე, რომლის საშუალებითაც ნათელი ხდება, როგორ მიედინებოდა შუა საუკუნეების ყოველდღიურობა მუსიკის თანხლებით.

კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით, თვალსაჩინო ხდება ის მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც არსებობდა ამ ორი კულტურული კერის მუსიკალურ ტრადიციებში.

ნაშრომი შეიცავს შესავალს, სამ თავს, რომელიც დაყოფილია ქვეთავებად, დასკვნასა და ბიბლიოგრაფიას.

პირველ თავში აღწერილი მაქვს ის მუსიკალური ტერმინები, რომელიც არსებობდა შუა საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში. ძირითადად დავეყრდენი შოთა რუსთაველის პოემა “ვეფხისტყაოსანს”, სხვადასხვა მეფის ისტორიკოსის ცნობებს და ამ პერიოდის ქართულად თარგმნილ ნაწარმოებებს.

მეორე თავში ნაჩვენებია სხვადასხვა ჟანრის მუსიკა, რომელიც ამ პერიოდში არსებობდა. აგრეთვე, ის რიტუალები და ტრადიციები, რომლებსაც აფორმებდა მუსიკა საერო ცხოვრებაში.

მესამე თავში კი წარმოდგენილია საკრავიერი მუსიკა, რა მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდა თითოეულ საკრავს, რომელიც შუა საუკუნეების საქართველოსა და დასავლეთ ევროპაში არსებობდა.

დასკვნა კი წარმოადგენს კვლევისა და შედეგების განხილვასა და შეჯამებას.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები: მუსიკა, ყოველდღიურობა, ჟანრები.

Abstract

The present paper addresses the art of the middle ages, in particular, music. Music is one of the main and important areas to be considered in the research of everyday life in the middle ages. The aim of the paper is to introduce and compare the music of Georgia and Western Europe.

The research is based on the written and art sources of the middle ages that reveal the everyday life flowing in accompaniment of music.

The results of the research demonstrates the similarities and differences between musical traditions of those two cultural hearths.

The paper consists of an introduction, three chapters further divided into sub-chapters, conclusions and bibliography.

The first chapter focuses on the musical terms that existed in the medieval literature. The provided information is mainly based on the poem of Shota Rustaveli “The knight in the Panther’s skin”, also it stands on the different historians’ statements and works translated into Georgian.

The second chapter examines the various genre of music performed in this period. Besides, the chapter refers to the issue about the rituals and traditions in the secular life that were enhanced by music.

The third chapter introduces instrumental music, emphasizing the importance and functions of each instrument existing in Georgia and Western Europe of the middle ages.

The conclusions summarize the results of the research.

Key words: music, genres, everyday life.